



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თბილისის ქალაქის ფაბრიკა“

„თბილისის ქალაქის ფაბრიკა“ (სააქციო საზოგადოება), ქალაქის მწარმოებელი საწარმო. მდებარეობს თბილისში, ისანისამგორის რ-ნში. დაარსდა 1935. ამზადებდა საკოლოფე, შპალერის ქვეშ გასაკრავ (დუბლაჟს), სამუშტუკე, გასანთლულ (უშვებდა II მსოფლიო ომის დროს) ქალაქს, ასევე – ქალაქს, ხელსახოცისა და ერთჯერადი თეფშებისათვის და წყალგაუმტარ მუყაოს. 1972 ჩატარდა ფ-კის რეკონსტრუქცია, 1980 კი დაინერგა ტექნოლ. დანადგარების მართვის თანამედროვე სისტემები ნახევარგამტარული ტექნოლ. გამოყენებით (ტრანზისტორების, ტირისტორების და სხვა თანამედროვე ნახევარგამტარული ტექ. ელემენტებით). 1996-იდან საწარმო სააქციო საზ-ბად ჩამოყალიბდა. საპროექტო სიმძლავრეა 800 ტ ქალაქი წელიწადში. „თ. ქ. ფ.“ ამუშავებს ადგილ. ნედლეულს (მაკულატურას), რისგანაც ამზადებს საგოფრე, რუბეროიდისა და სატომრე ქალაქს, აგრეთვე გოფრირებულ მუყაოს ყუთებს. გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც – სომხეთსა და აზერბაიჯანში.
